# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

KA000067545669316

5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა
info.gamgeoba@gmail.com


№ 432-ს

24 / მაისი / 2016 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის", საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე და 31-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების, ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის N12 დადგენილებისა და ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გამგეობის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს #23 დადგენილების შესაბამისად ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით www.hr.gov.ge.
2. ეთხოვოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად.
3. განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსები თანამდებობების ნუსხა დანართის თანახმად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი

დათო გოგუა

დანართი

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების ნუსხა**

| N | თანამდებობის დასახელება | ვაკანსიის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო (ლარებში) |
|---|---|---|---|
| 1 | **ადმინისტრაციული სამსახური** | | |
| ა) | ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი | 9 | 470 |
| 2 | **კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლების სამსახური** | | |
| ა) | კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი | 1 | 560 |
| 3 | **სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური** | | |
| ა) | სამსახურის მთავარი სპეციალისტი | 1 | 560 |
| 4 | **მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი** | | |
| ა) | გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ლეწურწუმეს ადმინისტრაციულ ერთეულში | 1 | 890 |